



27 მაისი 2024



N 21/5395

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს
სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს

სააგენტომ განიხილა თქვენ მიერ 2024 წლის 23 თებერვალს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილი N1984 განცხადება, რომელიც ეხება გარდაბნისა და რუსთავის მუნიციპალიტეტებში, თბილისის შემოვლითი გზის - „ნატახტარი (წიწამური)-რუსთავის მონაკვეთის ლოჭინის კვანძიდან რუსთავამდე უბნის (ლოტი #5)“ მშენებლობისა და ექსპლუატაციის გზმ-ის ანგარიშს და გაცნობებთ შემდეგს:

- წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საპროექტო ავტობანის ჰკ 18+00-იდან ჰკ 19+00 შორის არსებობს სანიაღვრე არხი, რომელიც კვეთს მეორად გზას და პირდაპირ თანხვედრაშია სარწყავი სისტემის გამანაწილებელი არხის ღარულ სისტემასთან. დოკუმენტაციაში არ არის დაკონკრეტებული სანიაღვრე წყლები ჩაედინება თუ არა ღარულ სისტემაში, ან ხომ არ გაივლის ღარულ სისტემას ღიად, რაც ორივე შემთხვევაში საფრთხეს შეუქმნის აღნიშნულ მონაკვეთზე სამელიორაციო ინფრასტრუქტურის ფუნქციონირებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა დაზუსტებული იქნეს სანიაღვრე სისტემის მოწყობის სქემა მითითებული პიკეტაჟების ფარგლებში და წარმოდგენილი იყოს შპს „საქართველოს მელიორაციასთან“ შეთანხმების საკითხი. ამასთან, აუცილებელია სამშენებლო სამუშაოების გეგმა-გრაფიკი შეთანხმდეს შპს „საქართველოს მელიორაციასთან“, რათა ხელი არ შეეშალოს სარწყავი სეზონის ჩატარებას;
- გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია წარეცხვის სიღრმის ანგარიშის შესახებ ზოგადი და ზედაპირული სახისაა, საჭიროა წარმოდგენილ იქნას არსებული დეტალური ანგარიშები შესაბამისი ნახაზებით. ამასთან მოცემული უნდა იყოს კალაპოტის მოსალოდნელი ზოგადი გარეცხვის მაქსიმალური და ადგილობრივი გარეცხვის სიდიდეები. ჰიდროლოგიური ნაწილი უნდა შესრულდეს ქვეყანაში მოქმედი და აპრობირებული ნორმების შესაბამისად; ასევე დანართი 4 (ჰიდროლოგიური და ჰიდრაულიკური ანგარიში) - არასრულყოფილია. შესაბამისად, წარმოდგენილ უნდა იქნეს დეტალური ჰიდროლოგიური ანგარიშები - ყველა პარამეტრის დახასიათებით. ამასთან ანგარიში მოიცავს არასახელმწიფო ენაზე შესრულებულ ცხრილებს;
- მაგისტრალის სამშენებლო ზემოქმედების არეალში ხვდება არსებული გზის ნაპირას არსებული მცირე ზომის წყალსატევი (ტბორი), რომელშიც მუდმივად არის შეგუბებული წყალი (GPS კოორდინატები X-499680, Y-4608260), თუმცა, გზმ-ის ანგარიშში არ არის განხილული აღნიშნულ წყალსატევეზე ზემოქმედება;
- გზმ-ის ანგარიშის თანახმად, ხიდის სამშენებლო სამუშაოების დროს არ იქნება საჭირო დინების რეჟიმის შეცვლა ან წყლის გადაგდება, თუმცა სამშენებლო სამუშაოების წარმოების მეთოდის შესახებ ინფორმაცია არ არის წარმოდგენილი გზმ-ის ანგარიშში, რაც საჭიროებს დაზუსტებას.

ასევე გზშ-ის ანგარიშში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს არსებული ხიდების სადემონტაჟო სამუშაოების შესახებ ინფორმაცია;

- საპროექტო ტერიტორია ნაწილობრივ კვეთს სასარგებლო წიაღისეულის (გაჯი) მოპოვების მიზნით 2014 წელს შპს „დენმარკზე“ გაცემულ #1001738 და შპს „სამგორი-ველი“-ზე გაცემულ #01002 და #10019 ლიცენზიების კონტურებს. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საკითხი შეთანხმებულია ლიცენზიების მფლობელებთან, თუმცა აღნიშნული შეთანხმებების, ასევე სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტი არ არის წარმოდგენილი;
- გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ გეოდინამიკური პროცესების განვითარების რისკი არ არსებობს, თუმცა ვინაიდან კლიმატის ცვლილების ფონზე მოსალოდნელია გეოდინამიკური გართულებები, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;
- გზშ-ის ანგარიშის თანახმად, რკინიგზაზე გადასასვლელ თითოეულ საპროექტო ხიდისთვის (BRI-01 პკ 67+21.72) გათვალისწინებულია ორი სანაპირო და ოთხი შუალედი ბურჯი, თუმცა წარმოდგენილი Shp ფაილების მიხედვით, აღნიშნულ ხიდებს ექნება ორი სანაპირო და ორი შუალედური ბურჯი, შესაბამისად აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;
- გზშ-ის ანგარიშის მეორე ტომში (გვ. 9 ცხრილში 9.1. გზის მშენებლობის პროექტის განხორციელებისას გარემოზე შესაძლო ტიპური ზემოქმედებების ჩამონათვალი) არ არის მითითებული გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება;
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია ურთიერთ შეუსაბამო ინფორმაცია, გზშ-ის პირველ ტომში აღნიშნულია რომ, საველე დათვალიერებისას აღიწერა მცენარეული საფარი და საპროექტო გზის ღერძიდან თითო მიმართულებით 100 მ დერეფანში მოქცეული ჰაბიტატები, ხოლო გზშ-ის ანგარიშის მეორე ტომში აღნიშნულია რომ შესწავლილი იქნება 300 მეტრიანი ზოლი (თითო მიმართულებით), შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;
- გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ ტექნიკური დანიშნულებით საჭირო წყლის აღება მოხდება უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტიდან, შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს ზედაპირული წყლის ობიექტის დასახელება და წყალაღების წერტილის GPS კოორდინატები; ანგარიშის თანახმად ბეტონის კვანძის მოწყობის შემთხვევაში ერთი კუბური მეტრი ბეტონის მოსამზადებლად ჩვეულებრივ საჭიროა 150-180 ლ (0.15-0.18 მ3) წყალი. 150 მ3/სთ წარმადობის ბეტონის კვანძის შემთხვევაში 8 საათიანი სამუშაო დღის პირობებში წყლის დღიური ხარჯი მიახლოებით 216 ლიტრი (0.22 მ3) იქნება. აღნიშნული საკითხი ასევე საჭიროებს დაზუსტებას;
- დანართი 2-ში (ინფრასტრუქტურის გადაკვეთები) გვ. 181 შეთანხმების წერილი წარმოდგენილია მხოლოდ არასახელმწიფო ენაზე, რაც საჭიროებს დაზუსტებას/კორექტირებას.

გთხოვთ, 2 თვის ვადაში უზრუნველყოთ დაზუსტებული/დამატებითი ინფორმაციის სააგენტოში წარმოდგენა. აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით დაზუსტებული ინფორმაციის წარმოდგენამდე სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის თაობაზე.

თეიმურაზ მთივლიშვილი



სააგენტოს უფროსი - მ.შ.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

